







**წმ-იორანი, 1 (13)** იენ ისს. აქაურს გა-  
ზეთებში სწერენ, რომ გენერალი მენაი, რომ-  
ელიც მ ქსიმილიანისთან ერთად დატყვევეს,  
მენიკის რესპუბლიკელებმა თოფით დახრი-  
ტეს და გენერალი მირამონი ტყვეობაში მო-  
კვდა.

**ღამაშარი, 3 (15)** იენ ისს. ზაზეთის „ღამ-  
ბურგის უწყებების“ კორესპონდენტი ტე-  
ლეგრაფით იწერება: „იმპერატორმა ნაპოლე-  
ონმა თავის დიდს სტუმრებს წარუდგინა აზ-  
რი, რომ ჯარის რიცხვი შენეირდეს. რუსე-  
თის იმპერატორმა და პრუსიის კაროლმა გა-  
მოაცხადეს, რომ ისინი მზათ არიან შეუდგ-  
ნენ ამს ქმის გამო მოლაპარაკებას. იმპერა-  
ტორმა ნაპოლეონმა იცისრა წარუდგინოს ამ  
საქმეზედ გარკვეული წინადადებანი.

**პარიზი, 4 (16)** იენ ისს. ღღეს დილით პა-  
რიჟში მოვიდნენ დიდი ღეროვანი ბაღისა  
და იმისი მუშავენი.

ხუთს საათზედ ნაშუადღევს მოვიდა პარიჟს  
მკვდრის ვიცე-კაროლი.

ზაზეთში Etendard-ში სწერენ, რომ საბერ-  
ძეთის მთარეველმა სახელმწიფოებმა ნოტა გა-  
უგზავნეს პარტას, რომ იმან ძანდიის მდგო-  
მარეობა განეხილას.

**ბერლინი, 6 (18)** იენ ისს. ბერლინის  
საბარჯო მანეთი დაქვემდებარებით ამტკი-  
ცებს, რომ იმპერატორი ნაპოლეონი წავა ბე-  
რლინს, ოკტომბერში.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი, 13** იენ ისს. მათი უდიდეს-  
ბულებსაბანი მარშალიამ გამოვიდნენ, ხელ-  
მწიფე იმპერატორი ქელოსტოკს გამგზავნა,  
სადაც მივიდა ღამე 11 იენ ისს, და იმპერა-  
ტორი კი შირიმში წაბანდა. პარიჟის საო-  
ფიციალო კურნალში აცხადებენ, რომ ის ხმა,  
ვითომც ხელმწიფეებს ჰქონდათ კონფერენ-  
ციები, ტყუილია. რუსეთმა, შრანკამ, პრუ-  
სსიამ და იტალიამ რომ ნოტა გაუგზავნეს  
პარტას, შუად-ღამე არ მიიღო. ადესიდან  
იწერებინან, რომ ბოლგარიში მთელი ხალხი  
აღდა და ბევრჯელ შეტაკება მოხდა. სულ-  
თან იწავიდა პარიჟს ათს იენ ისს.

**პეტერბურგი, 18** იენ ისს. იმპერატორი  
14 იენ ისს ადესსა მობმანდა და იქიდან  
15-სლ იედიას წაბანდა „შირის“ ცეცხლის-  
გემზედ.

**სალიტერატურა ნაწილი.**

რამ დენ იმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ.

ბნელი და გულსაკლავია ჩვენი წარსული  
და აწმყო. რამდენათაც კაცი ღრმად ჩაუკვირ-  
დება ჩვენს ისტორიულს ცხოვრებას, იმდენ-  
ათ მტკიცეთ დარწმუნდება, რომ ჩვენს ცხო-  
ვრებას სიცოცხლის ნიშანი არ აძევს; იმაში  
თქვენ ვერა წინახეთ ნათელს კვალს, რომელ-  
საც შეეძლოს განგვიხათლოს გარემოდებუ-  
ლი წყვედიადი. რასაკვირველია ამასა ჰქონდა  
თავისი მიზეზები...

შველა სულდემულის ბუნებაში, ჩანერგი-  
ლი აქვს თავისი კანონები და მოთხოვნი-  
ლებანი. წართვეთ იმას ეს მოთხოვნილე-  
ბანი, შეაჩერეთ ამისი ბუნებითი კანონების  
თავისუფალი მსვლელობა და გახსნა. — ის იმ-  
ის სიკვდილის თანასწორია. მინდა მოგიკლავს  
ეს სულდემული და გინდ შეგიჩერებია თა-  
ვისუფალი შინაგანი სიცოცხლე. რა არის სი-  
ცოცხლე? როდის შეიძლება ესთქვა, რომ  
ეცოცხლობ? მაშინ, როდესაც ჩემნი შინაგანი  
ძალანი აღმოშობენ თავის შესაფერის მოქ-  
მედებას, როდესაც მე წარმოვადგენ განმარ-  
ტოვებულს ქვეყანას, სადაც ერთი ძალა მე-  
ორეზედ თავისუფლად მოქმედებს და იმათის  
ურთიერთის ზედმოქმედებით აღენთება სიცო-  
ცხლის ღამაზარი. რას ვეძახით უსულო საგანს?  
იმას, რომელსაც თავისნი შინაგანი ძალანი  
არა აქვს, რომელსაც ამოქმედებს გარეგანი  
ძალა.

მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი სიცოცხლე სი-  
ცოცხლე არ არის და არცა ყოფილა. ზანა არ  
შეიძლება ესთქვათ, რომ ქვეცა ცხოვრობს,  
მაგრამ რამდენათ მარტივი და დაბალი იმისი  
ცხოვრება შედარებით ცხოველთან და ადა-  
მიანთან. რამდენათაც დაბლა დგას ცხოველი და  
მცენარე, იმდენათ იმისი შინაგანი სიცოცხლე  
სუსტი და ჩამქრალია. რათა? მითომ რა აქვს  
ადამიანს და ცხოველს ისეთი, რომ იმათ სი-  
ცოცხლეს სიცოცხლე დაეძახებოდეს და ქვის  
სიცოცხლე კი არ — სიცოცხლეს მნიშნაუდეს?

ადამიანს და ცხოველს აქვს აზრი, მსჯე-  
ლობა, ისინი გრძობენ და ფიქრობენ. მცე-  
ნარე არა ფიქრობს და არცა გრძობს, ქვა  
უფრო ნაკლებათ. ახლა ვკითხვით ჩვენს თა-  
ვის: ვინ არის ქვეყანაზედ ყველაზედ თავისუ-  
ფალი? (მკითხველმა რასაკვირველია იცის, რომ  
მეც სთავისუფლებზედაც ვლაპარაკობ.) ის  
ვინცა ფიქრობს. ცხოველის და ადამიანის მო-  
ქმედებაში ჩვენა ეპოვებთ ორს ძალას, ორს  
მიზეზს, ერთს გარეგანს და ერთს შინაგანს —  
აზრს, გონებას. რამდენათაც კაცის მოქმედე-  
ბაში სძლევენ გარეგანი მიზეზები, იმდენათ  
ის ნაკლებათ არის თავისუფალი და მაშა-  
სადამე, იმდენათ იმისი სიცოცხლე არ  
სიცოცხლეობს. სადაც სიცოცხლეა, იქ თავი-  
სუფლებია, ე. ი. იქ შინაგანი მიზეზები სძლევენ  
გარეგანს, იქ კაცი თავის შინაგანს კანონებით  
მოქმედებს. აქ კიდევ ვკითხვათ: ვის უცოც-  
ხლოა, მართლა უცოცხლია? იმას, ვისაც ბევრი  
უფიქრია თავის სიცოცხლეში და ვისნი მო-  
ქმედებანიც წარმომდინარეობდნენ შინაგანის  
წყაროდგან, რომელსაც დაჰბადებდა შინაგანი  
სიცოცხლის პროცესი. აქ მე რასაკვირველია  
არ ვამბობ, რომ გარეგანიც საჭირო არ იყოს,  
მაგრამ იმდენათ საჭიროა ეს ჩვენის აზრისა-  
თვის, რამდენათაც საჭიროა ჩვენის სხეულისა-  
თვის, ჩემი სხეული ცოცხლობს თავის შინა-  
განის ძალით, მაგრამ უსაკმლოთ მაინც არ შეიძ-  
ლებამისი სიცოცხლე. შინაგანი სხეულის ძალა  
კუქის და ნაწლევების შემწობით გადაკეთებს  
ამ საკმელს, მრავალგვარს ცვლილებას მოახდ-  
ენს იმაში და მხოლოდ უკანასკნელად, როდი-  
საცის გადაიქცევა სისხლად, დაივლის ტანში და  
ემას ასაზრდოებს. მაშასადამე შინაგანი სხე-  
ულის ძალა შეაბუშავებს გარეგანს მასალას.  
აბა კუქში და ნაწლევებში ნუ დაჰყოფს სა-  
კმელი და პირდაპირ სისხლში შეიყვანეთ,  
თუ სხეულის სიცოცხლე მაშინვე არ მო-  
ისპობს. აგრეთვე უნდა უყურებდეთ კაცის  
ზნეობის მხარესაც. იმე კაცის ზნეობის,  
ანუ, უკეთ ესთქვათ, სულიერს მხარეს არა  
აქვს ნება, რომ თავის ის საკუთარის კანონებით  
მსვლელობდეს და თავისუფლად აყვავებოდ-  
დეს, მაშინ ის კაცი მოკლულია, ის არა ცოც-  
ხლობს, რადგანც, როგორც ეს წინათა  
ვთქვით; ადამიანი გრძობს და ფიქრობს და ამი-  
ტომაც ცოცხლობს. — ახლა გამოვიკვლიოთ,  
რა კანონები სძევს სიცოცხლის აკვანში, ვი-  
პოვნოთ სიცოცხლის დედა-არსი და თუ ამ  
სიცოცხლის დედა-არსს ჩვენ სულიერს სიცო-  
ცხლეში ვნახავთ, ხომ რა კარგი, თუ არა და  
ჩვენ არა ეცოცხლობთ და არც გვიცოცხლია.

მართე უმთავრესი კანონთაგანი არის  
თავის-დაცვა. მს ეკუთვნის სულიერს მხარ-  
ეს. ამ თავის-დაცვას ჩვენ ყველა სულ-  
დემულში ეპოვებთ. წარმომადგენეთ ნამკეკა,  
თვლით დაუნახავი ინფუზორია; იმასაც კი  
აქვს ეს გრძობა. ის ებრძვის სხეებს თავის  
სიცოცხლის დასაცველად. როცა თევზი მო-  
იმლომებს იმის ჩაყლაპას, ის ან გაექცევა იმას და  
ან მოიხმარს იმ იარაღს, რომელიც იმისთვის  
ბუნებას მიუცია; ის ან პირით, ან თავით და  
ან სხვა რამ მისაგვრებელის იარაღით დაეტა-  
კება თავის მტერს და თუ შეიძლოა სასიკვდი-  
ლოთაც არ დაინდობს. მს ამტკიცებს, რომ  
იმას აქვს თავის-დაცვა, რომ იმას  
თავის-თავი უყვარს. ბუნებაში თავის მოყვა-  
რეობა არსებობს. მს არის მთელი სიცოცხ-  
ლის დედა — კანონი. რამდენათაც ცხოველი

მაღლა სდგას, იმდენათ ეს თავის-დაცვა ძლი-  
ერია, იმდენათ ცხოველი სრულად არის აღ-  
ჭურვილი თავის დასაცველის იარაღებით. — მა-  
წაწინა ინფუზორია გამოეკიდება სხვას, რომ ის  
ჩაყლაპოს. რათა? ამიტომ, რომ თავის-დაცვა  
უნდა. სხვა კი რომ არ ჩაყლაპოს, მშინერი  
მოკვდება. მს კანონი ყველა ცხოველებში  
ერთი და იგივეა თავის საფუძველში, მაგრამ  
სხვა და სხვა ცხოველებში სხვა და სხვა გვა-  
რათ იცვლება. მნახოთ, კაცობრიობაში ამ  
კანონს როგორ უმოქმედნია... მრავალ გვა-  
როვანი ცვლილება გამოუვლია კაცს, მანამ-  
დის იმამ მდგომარეობამდის მოუხსენია, რომ  
მელშიაც ჩვენ ეხლა იმას ვხედავთ. როგორც  
კაცობრიობა იცვლებოდა, ისე ეს კანონიც,  
რომელზედაც ჩვენა გვაქვს ღამაზარი. როცა  
კაცები ველურს მდგომარეობაში ყოფილან,  
მაშინ ერთმანეთი უტყაობათ მოხსენებულის  
კანონის ძალით. მერე მრავლის წელიწადების  
განმავლობაში, კაცის გონება გახსნილა, კაცი-  
კამიობისათვის ხელი დაუწებებია, მაგრამ მაინც  
კიდევ კაციკამიობა არ მოსპობილა, მაინც ერ-  
თმანეთი უწყლტათ, ომები და სისხლის ღერა  
არ შეჩერებულა, თუმცა შესუსტებულა...  
ზასულა კიდევ საუკუნოები. კაცი შესდგომია  
მიწის შემუშავებას. აი ეს არის ის უდიდესი  
ცვლილება, რომელიც შემთხვევია ამ კანონს  
კაცობრიობის ისტორიულს მოძრაობაში. აქ  
ვხედავთ, რომ კაცის გონებაში მომხდარა  
დიდი ცვლილება. იმას დაუნახავს, რომ  
ერთმანეთის ჟღერა არ გამოდგება, რომ აქ  
არამთუ თავის დაცვა, არამედ თავის თავის  
მკვლელობაა. იმან დაინახა, რომ როგორც  
იმას უნდა სხვის მოკლა, ისე სხვასაც უნდა  
იმისი მოკლა. ძაცმა სცნო, რომ თავის და-  
ცვისთვის და ბედნიერებისათვის იმან სხვას-  
თან მშვიდობიანათ უნდა იცხოვროს, რომ  
ის კაცს კი არ უნდა ებრძოდოს, არამედ  
ბუნებას, რომ კაცში არ არის უარყოფა  
სხვის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა, რომ  
შეიძლება უფრო კარგათ იცხოვროს, როდეს-  
საც ერთმანეთი ეყვარებათ. ძაცმა დაინახა,  
რომ სიმდიდრე ბუნებაშია, რომ იმის მოპო-  
ვება შრომით შეიძლება და დაიწყოა მიწის  
შემუშავება. მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ,  
რომ ეს კაცმა პირველათვე ცხადათ იგრძნო.  
ის მარტო ინსტიქტით გრძობდა ამას, რა-  
დგან იმის გონება ღრმად ვერ ჩააკვირდე-  
ბოდა იმ დიდს ცვლილების დასაწყისს, რომ-  
ელიც კაცობრიობაში მოხდა. მს ცვლილე-  
ბა ჯერ არ გათავებულა. მრავალი წე-  
ლიწადები გავა, მინამ კაცობრიობა ნათლად  
დაინახავს, რომ ერთმანეთის ცარცვაში, ერთ-  
მანეთის ჩაგვრაში, ერთმანეთის ჩაყლაპვაში და  
ჩანთქვაში არ არის ბედნიერების წყარო.  
ჯერ კაცობრიობა ვერ მიხვდა და დიდხანსაც  
ვერ მიხვდება, რომ ვინც სხვასა ჰყლაპავს,  
იმას სხვანიც ჩაჰყლაპავენ. მაშასადამე ჩვენ  
ვხედავთ, რომ კაცობრიობას სრულებით არ  
ეყურება, რაში მდგომარეობს თავის — დაცვა.  
მართე ხალხი მეორესა სცარცვავს, ატყავებს,  
თავისუფლებას, ენას და ხალხობას აკარგი-  
ნებს და ჰგონია, რომ ამით ის თავის ბუნე-  
ბით კანონს აღსრულებს. არა, ის მტერია  
თავის თავისა, ის თავის თავის მკვლეელია.  
„მითართა საწყაულითა მიუწყობთ, ისეთივე  
საწყაულითა მოგწყობისთ.“ ნუ თუ ეს თავის-  
დაცვაა, რომ მე სხვები ჩაყვლაპო და ბო-  
ლოს სხვას ჩაყვლაპინო? ასე მოუვით უთუ-  
ოთ მყლაპელებს. ისინი შეიქმნებიან მსხვერ-  
პლი თავის უგუნურებისა. მინც არ აღსრუ-  
ლებს ბუნებით კანონს, ის მკაცრათ დაის-  
ჯება ბუნებისაგან, და იმის სახსენებელიც აღ-  
არ დაჩნდება. — შეყვანაზედ იყვენ და არიან  
ორგვარნი ხალხნი: ერთნი ეკუთვნიან მყლა-  
პელებს და მეორეები ჩაყლაპულებს და ჩა-  
საყლაპეებს. მართნი არიან მგლები და მეო-  
რე ცხვრები. რადაცა შავი ფიქრები შემოე-  
ხვევა კაცს, როცა წარმოიდგენს რამდენი  
ჭაბუკი, სიცოცხლით სავეს ხალხი ჩაყვლაპავს

სხვის გაუმადლობას. საბერძნეთის მშენე-  
რი საბერძნეთი, რომელიც ზანესი იქონი მძღ-  
ნის ძალით და სიცოცხლით, რომელიც ასე  
მშენეირად აყვავებოდა და რომლის ზად-  
ლი ხალხი ჯერ ჩვენს თვალს არ უნახავს  
მთელს კაცობრიობაში, ჩანთქო ჯერ მაკედო-  
ნიამ და მერე რომის მოსისხლე და გაუმად-  
ლარმა გულმა. მაი დაკარგული საბერძნეთო!  
მაგრამ უფრო უარესათ ვაი იმათ, ვინც  
იმისი მშენეირი ყვავილი ასე უდრო  
უდროთ დაჰკნო. საბერძნეთი სამუდამოთ  
დარჩება და თქვენ, ჩამყლაპენო, სიცოც-  
ხლეშივე დაღბით, ჩიფუშენით, თქვენმა მუ-  
ცელმა ვერ მოინელა ის, რაც ჩაყლაპა! სა-  
ბერძნეთმა თავის სიკვდილით უკვდავების გეი-  
რგენი მოიპოვა, და თქვენ სიცოცხლეშივე  
ყველასაგან მოძულეებულნი ხართ და თქვენი  
სიკვდილიც არაინ დაინანა. ასე ძლიერია  
ბუნების კანონი!

ჩვენს დროს ისე ვერა მიაქცევსრა  
კაცის ყურადღებას, როგორც სხვა და  
სხვა დაჩაგრულის ხალხების დრტენვა.  
აქამდის და ეხლაც ქვეყანაზედ სუფევს ძალა-  
ღობა, უგუნური, ბრმა ძალა. ნუ მოითხოვთ  
იმისგან აზრს და სიმართლეს, რადგანაც ძა-  
ლაღობა და სიმართლე ერთი ერთმანეთს გა-  
მორიცხვენენ, ე. ი. ერთმანეთს მტრობენ და  
სრულიად ეწინააღმდეგებიან. დიდი ხანია,  
რაც ძალაღობა და აზრი იბრძვიან ერთმანეთ-  
ში, ბრძოლა თან და თან ძლიერდება. პრო-  
მეტეიმ პირველად აუტენა ეს ბრძოლა ძალა-  
ღობას და მას აქეთ ის არ შეწყვეტილა, თუ-  
მცა სხვა და სხვა დროს ის ხან გაძლიერდე-  
ბოდა და ხან ისევ შესუსტდებოდა. შყელამ  
იცის, რომ უგუნური ძალის სუფევა არ არის  
საუკუნო, იმას აქვს ბოლო. მხოლოდ ერთი  
აზრი და სიმართლე არ დაითრგუნება და მხო-  
ლოდ იმისი სუფევა არის უკვდავი და გონე-  
ბის ტაძარი შეურყეველი. დიან, მე ვთქვი,  
რომ ჩვენს დროს საუკუნოებიდამ დაჩაგრულ-  
მა ხალხებმა წამოიწიეს და თავისი თავი სცნეს,  
იმათ მოძებნეს თავისი დაკარგული სიმართლე,  
თავისუფლება და ხალხობა. რადგანაც, რო-  
გორცა ესთქვით, ძალაღობა სდევს სიმართ-  
ლეს, ამისთვის ასტყდა ბრძოლა, რომელიც  
ჯერ არ შეჩერებულა. ამ ბრძოლის დასას-  
რული ჯერ არა სჩანს ამ ახლო მომავალში.  
ჯერ ჩამყლაპელები ძლიერნი არიან, მაგრამ  
ამასთან ესეც არის, რომ ხალხებმა ბევრი რამ  
მოიპოვეს, თუ სრულად არ მოუპოვებთ თა-  
ვისუფლება და ჯერ არ აღუდგენით თავისი  
დაცემული და მიწასთან გასწორებული ხალ-  
ხობა. ჩვენი ქვეყანა ისეა ავებული, რომ  
აქ უბრძოლოთ არა გარიგდებარა. კაცი მა-  
შინ მოიპოვებს ბედნიერებას, როდესაც ის  
ებრძვის თავის დამჩაგრელს ძალას. მარტო  
ბრძოლა და ღვაწლი დაადგავს კაცს უკვდა-  
ვების გეირგენს. რათა? იმიტომ, რომ  
ის აღსრულებს სიცოცხლის დედაკა-  
ნონს, იმიტომ, რომ ის თავის — დაცვას,  
იმას არ უნდა, რომ ვისმე გაექვლინოს, იმას  
არ უნდა რომ თავისი თავისუფლება, თავისი  
ენა, თავისი გრძობა და აზრი სხვას მის-  
ცეს, ე. ი. სხვის გაყვინას. აი დევ რათა? ამი-  
ტომ რომ თავისუფლების, გრძობის, აზრის  
და ენის მიცემით ის თავის სიცოცხლეზედ  
ხელს იღებს და ამით არღვევს შემოსხენებულს  
ბუნების კანონს. მაგრამ საკვირველი ის არის,  
როგორ დაჰკარგვენ ხოლმე როგორც კერ-  
ძობითი პირები, ისე ზოგიერთი ხალხები ყო-  
ველს არამთუ ადამიანურს, არამედ ცხოვე-  
ლურს გრძობასაც? როგორ და რა სახით  
შეიძლება ისე დაკარგედეს და დაბრმავდეს კა-  
ცი, რომ თავის ბუნებითს მოთხოვნილებებ-  
საც აღარა გრძობდეს და იმ კანონს, რომ-  
ელიც ჩანერგილია არამთუ კაცში, არამედ  
უკანასკნელს ცხოველში? შევლავნ სადაც კი  
სიცოცხლე ფეთქავს, იქ ეს კანონიც მღვიძ-  
რებს. ის დასტრიალებს თავზედ და გაამხვი-  
ლებს იმის გონებას, განაცხოველებს იმის





მოქმედებას, ერთი სიტყვით სიკაცობის ნაკლებად აღავსებს იმის წერებებს და სისხლს! მაშ სჩანს, რომ კაცი ისე ღრმად და ისე დაბლა დაცემულა, რომ იმას უკანასკნელი ცხოველიც სჯობია, ისე იმ გვარად გარკინებულა, რომ იმას არც ტანჯვა და არც მწუხარება ესმის! მაშ რაღა ცხოვრება ეს ცხოვრება? სჯობს გაქვედეს, მინამ იცოცხლოს და სიკაცობისა კი არა ეყურებოდეს რა. სჯობს არა ცოცხლობდეს, მინამ დაკარგოს ის, რაც კაცის ბუნებას განამშვენებინებს. წარმოიდგინეთ კაცი უაზროთ რა არის და წარმოიდგინეთ ამასთან კაცი, რომელსაც ყოველი არამთუ ადამიანური, არამედ ყოველი ცხოველი აზრი დაუკარგავს, სხვისთვის მიუცია და ამას სრულებით არა გრძობს. (მ. 3, განაღა იქნება კაცის ბუნების დაცემა ასე მდამლად?! წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც ენასა სჭირან, იმას ართმევენ სიამოვნებას, რომ ჩივილი ყრმის ტიტიკი გაიგონოს და იმის წრფელს გრძობას დაუახლოვდეს, წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სტანჯვენ, სისხლსა სწოვენ, და ამასთან ის ყოველად უგრძობდელია. მ. 3, ამხედ მეტი გულის გაქვეება და გინახავთ?! რა სიკაცობა ის სიკაცობა, რომელსაც კაცი ყოველად უგრძობდელია?! მოვლად უგრძობდელია მართა უსულო საგნების თვისებაა. ახლა წარმოვიდგინოთ ზოგიერთის ხალხის ცხოვრება. ზოგიერთ ხალხს სწორეთ ამ მდგომარეობაში ეხედავთ, იმას დაუკარგავს ის, რაც ხალხის მიუცილებელ კუთვნილებათ უნდა მიგვანდეს და ამასთან ის ვერა გრძობს ვერაფერს. რათა? იმისთვის რომ თავის თავს ვერა სცნობს, მაშ სჩანს რომ ხალხს, რამდენათაც შეუძლიან ამაღლდეს ცხოველებზედ თავისის გონიერებით, თავისუფლების და სიმაართლის სიყვარულით, იმდენათაც შეუძლიან დაეცეს ყველა ცხოველზედ დაბლა. ამის დამტკიცებას ჩვენ ეხედავთ კაცის სხეულზედ. ის წარმოგვიდგენს მრავალ გვარ გარჩევას. პირველი შეხედვით ნერვს ვერა შეტყობთ, რომ ის ისეთივე კაცია, როგორც ვერაპიელი. მეროპიელის სახე მშვენიერია და ნერვის სახე უფრო მაიმუნისას მიემგზავსება. ძაცის სხეულის აგებულებაში ადვილად შესაძლებელი არიან დიდი და გასაოცარი ცვლილებანი. ბევრჯერ შეხედვით, რომ მშვენიერს დებადბა მახინჯი, რომელიც სრულებით კაცის სახეს არ მოგაგონებთ. სწორეთ ესეე გაიმეორება კაცის სულიერს მხარეშიაც. შეიძლება ეთქვათ, რომ კაცის სულიერი მხარე უფრო მომეტებული სულიერებას გამოივლის. მართის მხრით თქვენ ჰხედავთ ნიუტონს, რომელიც მსოფლიო კანონებს გამოიკვლევს და თავის შეუმცდარის გონებით და გამოანგარიშებით სცნობს, რომ მხოლოდ ერთი მიმომზიდელო ძალა აბრუნებს აუარებელ ზეციურს მნათობებს და მეორე მხრით—ლოტენტოტს, რომელმაც ათამდის დათელა არ იცის. მართის მხრით ჰხედავთ აყვავებულს და თავისუფალს რესპუბლიკებს, მდიდარს ყოველის ნიჭით, მდიდარს მდიდარს აზრებით, რომელთაც თავის სიკაცობაზედ უმეტესად უყვართ თავისი თავისუფლება, თავისი ენა, თავისი ხალხობა, და მეორეს მხრით ჰხედავთ იმისთანა, რომელსაც არამთუ ესენი დაუკარგავს, არამედ არცა გრძობს და არცა სცნობს თავის თავს და ამით თავის არ მყოფობას გვიმტკიცებს.

და მომჯადობები, რომ შეუხლოართავს ხალხი რაღაც მისწერი ბადით და მძიმე ტყვიასავით დასწოლია იმის გონებას და არ აძლევს ნებას თავისუფლად ამოუხრთქვისას. არ შეიძლება ეთქვათ, რომ ჩვენი ხალხი უნიკო იყოს. მაშა საღამე დაგვრჩება მეორე მიზეზი. ამას გვიმტკიცებს ყველაფერი. ამას გვიმტკიცებს თვით ჩვენი ისტორიაცა. (თუ მკითხველს ახსოვს ჩემი სიკაცობის ახსნა, ის რასაკვირველია მიხვდება, რას ჰწინანავს თავისუფლების არ ქონა. საღაც თავისუფლება არ არის, იქ სიკაცობე არ არის, რადგანაც სიკაცობე ყოველს მოქმედებას თავისუფლად აღმოშობს თავის შინაგანის და არა გარეგანის ძალით. რომელს ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყანისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა.) მრავალი მაგალითები გვიმტკიცებენ ამას: საბერძნეთი, ჩრდილოეთის შვედეთული შტატები, ანგლია, შვეიცარია, და სხვ. რაც ძველს დროში ქვეყნიერებისათვის იყო საბერძნეთი, ის ანგლიაა ჩვენს დროში. რათა? იმიტომ, რომ როგორც ბერძნის, ისე ანგლიელის ბუნებაში თავისუფლების სიყვარული ძველს. ამერიკელისთვის (რომელიც ანგლიის რასას (ტომს) ეკუთვნის) თავისუფლება ის არის, რაც ეხლა ჩემთვის და შენთვის ჰაერი და ჰური. როგორც უპაერთ კაცი მოკვდება, ისე თავისუფლების მოკლებით ამერიკელი მკვდება, ამიტომ რომ ის მოკლებულია იმ ძალას, რომელიც ატრიალებს იმის სიკაცობის ჩარხს. ამერიკელსა აქვს მომდრეკი ბუნება. ამისი პიროვნება არ შეიწყნარებს ყოველს იმის თავისუფლების შემავიწროებელს ძალას. (როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოთ და უპაერთ, ისე ის ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, საღაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოზღუდავს რა. ამ ხალხს უყვარს ზღვა. რათა? იმიტომ რომ ზღვა ჩაუდგავს იმას ყმაწვილობიდანვე რაღაც გარეშეუწყურელს ძლიერებას, რომლის ზვირთებიც თავისუფლად მჩქეფარებენ. რადგანაც ზღვა თავისუფალი და დაუმონაწევებელია, ამიტომ იმას ეს უყვარს, რადგანაც იმისი ბუნებაც იმისთანავეა. ამიტომაც საბერძნეთის შემდეგ ჩვენ ვერა ეხედავთ იმისთანა თავისუფალს ხალხს, როგორც ეს ხალხია. შეხედეთ ახლა იმ ხალხს, რომელსაც თავის დღეში ზღვა არ უნახავს და მხოლოდ მობიბინე მწვანეს დაპყრებს (როგორც ჩვენი ხალხი). ის ესეთივე მშვიდი, მიწყნარებული და მორჩილია, როგორც ცხარი, ძროხა, რომლებიც თავის სიკაცობეში სულ ბალახს დაპყრებენ. მართლაც ყოველის ფერი გვიმტკიცებს, რომ მიწის მხენელი კაცი მშვიდი და მორჩილია ის ყოველთვის ძველს მისდევს და ახალი ვერა გაიტაცებს რა. იმას ყოველის ფერი წარითვით, ოღონდ ნუ მოუშლით ხენათესავსა. (თუნდა ჰქონასულიც წარითვით, ის კმაყოფილია ძროხასავით.)

იმრძის და მინც ვერა გაუწყვიარა. მაგრამ ამ ტანჯვამ და მწუხარებამ მინც ვერ დაუხმა კაცს ბედნიერების სურვილი. რადესაც დაინახა, რომ ეს სიკაცობე სრულებით უკუღმართად არის შექმნილი, იმან რაღაც ცუნებაებს მიჰყუა ხელი და თავის თავში ააშენა ის ციხე-დარბაზები, რომლებიც სიკაცობეში ვერა ნახა. ზოგი მთელს თავის სიკაცობეში სასუფეველზედ ფიქრობს, ზოგი გამოიხატავს გონებაში მომავალს კაცობრიობის ბედნიერებას, ზოგი ბრამაში ჩაღრმავდება, ზოგი სულ იმას ნატრობს, რომ ელიროსს ქლიას ეტლში ჩაჯდომა, ზოგი წარმოიდგენს მშვენიერს წალკოტს, ყოველის სურნელებით და ხეხილოვანებით საესეს და მიეცემა მერე რაღაც იღუმალ გამოუკვლეველს ტკბილს ფიქრებს, პირს იტყბანურებს, თითქო ეს არის ეხლა—დაეწაფაო ნეტარებას, მინამ შეუბრალებელი ცხოვრება არ მოაგონებს, რომ იმას ორი გროში არა აქვს პურის სასყიდლად—და ესე გაქრება ის მშვენიერი ჩვენება, რომელიც მწუხარების მეტს არას დაჩნევს იმის გულს. აქედამ სჩანს, რომ კაცს მართლაც აქვს ჩანერგილი ბუნებაში ბედნიერების ძებნა და ეს მოთხოვნილება ღრმა და ამოუფხვრელია. მაგრამ კაცობრიობა ვერ იქამდის არ მისულა, რომ თავის მოთხოვნილებაები დაკმაყოფილოს. ზაუნათლებლობის გამო ის ყოველთვის თავის ბუნებითი კანონების წინაღმდეგ მოქმედობს და ამ სახით თავის თავსეეჯოჯობეს უშენებს სამოთხის მაგიერად. აქამდის კაცი ძალიან ცოტასა ფიქრობდა თავის მდგომარეობაზედ. იმას არ შეუხედავია კრიტიკულის თვლით თავის ცხოვრებისთვის, და არ გამოუკვლევიან, თუ რისგან წარმოსდგება, რომ კაცი მთელს თავის სიკაცობეში ბედნიერებასა სდევს და უბედურებასა ჰპოვებს? ამასა აქვს ორი მიზეზი. ძაცობრიობის ცხოვრება მეტად უგუნურად დაწყობილია, რადგანაც კაცს თითქმის სრულებით არა სცოდნია, და შემდეგ კაცი მისჩვევია ძველს ცხოვრებას და, თავის უცოდნარობის გამო, ვერ მიხვდებია, რომ ეს ძველი იმისი დამღუბველია. ის სიძველე ისე შეეთვისა კაცის ბუნებას, რომ მართა გენიოსები განიცდიან თავისის გამჭირახის თვლით ძველის ჩვეულებების უსაფუძვლობას და თავისის მიუფერებელის ანალიზით წარმოადგენენ, რომ ეს ძველი ცრუ-რწმუნებანი კაცის ბუნებას და იმის მოთხოვნილებაებს არ ეთანახმებიან. დიდი ხანი არ არის, რაც კაცმა იქვეულის თვლით შეხვდა თავის სიკაცობეს, დიდი ხანი არ არის რაც გატანჯულმა ჩვილმა გულმა იგრძნო კაცობრიობის ტანჯვა და მწუხარება და იტანჯა იმის ბედნიერებისათვის. ის მოძრაობა დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში (თუმცა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ წინათაც არა ყთფილიყოს ეს მოძრაობა, მაგრამ ის სუსტი იყო და მეთვრამეტე საუკუნეში კი ამ მოძრაობამ გარემოიცვა ვერ შრანცია და მერე მთელი მერობა). გამოჩნდნენ კაცები, რომლებმაც მოიწადინეს ისეთი რამ მოიგონონ, რომ კაცობრიობას ბედნიერება და სიკეთე მიანიჭონ. დიდი და ალტაცებული იყო იმათა წადილი. ზოგი იმათგანი დიდის თავგანწირულებით მიეცა ამ დიდს საქმეს და არაფერი დაიშურა რა, რომ თავისი საყვარელი აზრი აღსრულებაში მოეყვანა. ჩვენ ვიცით ბევრი იმათგანი, რომელთაც თავი შესწირეს საზოგადო კეთილდღეობას და არ შეუშინდნენ არავითარ დაბრკოლებას.

ისის იდვით და ადვილათ შეიძლება, რომ თავის გატაცების დროს ისინი იტყუებოდნენ. მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ გაუტაცებლად ამ გვარის საქმის წარმოებაც არ შეიძლება და გატაცებაშიაც ისინი თავისის უმანკო ზნეობით და გონიერობით შეუდარებლათ მაღლაიდნენ, მთელს საზოგადოებაზედ. იმათ ბევრს ისეთი ნათელი და ჯანმრთელი აზრი გამოთქვს, რომელიც მრავალს საუკუნოებს იცოცხლებს და კაცობრიობის ბედნიერების საფუძველად შეიქმნება.

რამდენათაც ჩვენ დაზარებულნი ვართ მერობაზედ სხვა მხრით, იმდენათ ამ საქმეშიაც დაზარებულნი ვართ. ჩვენში ვერ ყველანი და რწმუნებულნი არიან, რომ ისინი სწორეთ ნეტარებენ და „სასუფეველი ცათა“ იმათ აქვე იხილეს. ამში ეჭვი არავისა აქვს. მაშ დევი იოცნებონ ჩვენებმა; მერე ძილის სიზმრები საუკუნო ძილის სიზმრებათ ვადექცევით... რამდენათაც ჩვენში სხვა ბუნების მოთხოვნილებანი არიან დაყრუბულნი და ჩამჭარალნი, იმდენათ ეს მოთხოვნილება, რომელიც ყველაზედ მეტად ეთანახმება ჩვენს ბუნებას და ყველაზედ უმეტესად სასიამოვნოა კაცისთვის, დაყრუბულია და თითქმის ერთი იმისი ნაწარწყალიც არ ღვივის ჩვენს გულში.

ახლა ეს უნდა ვიკითხოთ: რით და როგორ დაკმაყოფილდება ეს ჩვენი ბედნიერების წადილი? იპოვეს რამე იმისთანა, რომ რამდენათაც შეიძლება კაცი ბედნიერი გახდომას? ვერ საუფუძველიანი ვერა უპოვით რა მხოლოდ ერთი განათლების გარდა. ამას ამბობენ ყველანი, ვინც ამ საქმეს კარგათ ჩაჰკვირებინან. მხოლოდ განათლებას შეუძლიან შეუცვალოს იმათ აზრები, იმათი ბუნების და თავისუფლების შეუხებლათ და შეუფიწროებლად.—ბევრი ღონისძიება მოუგონებიათ კაცობრიობის გასაბედნიერებლად, მაგრამ იმათ უფრო კათოლიკური ხასიათი აქვთ. კათოლიკობას ძალიანა ჰსურს, რომ ყველას დაუმკვიდროს სასუფეველი. მაგრამ ამისთვის რას შერება? იმას უნდა მოსპოს და გააქროს ყოველი წინწალი თავისუფალის მსჯელობისა და თავისუფალი ჩწყუნებისა. იმათი ცხოვნება უნდა და ამასთან თვით აზროვნებას და თვით რწმუნებას სდევნის. ისე კიდევ ბერსა ჰსურდათ კაცობრიობის გამოხსნელად გამხდარიყვნენ, მოიგონეს ერთი რამ აზრი, რომელიც, იმათი ფიქრით, გააბედნიერებდა მთელს ქვეყანას და მერე გინდათ თუ არ გინდათ ეს აზრი უნდა აასრულოთ. ამ გვარი ხასიათი ჰქონდათ მომეტებულათ იმ აზრებს და თეორიებს, რომლებიც კაცობრიობას ბედნიერებას ჰპირდებოდნენ. იმ აზრებში მხოლოდ ის აზრი არის ცხოველი და გამოსადეგი ყოველის მხრით, რომელიც ითხოვს ხალხის განათლებას, მხოლოდ ამ აზრის აღსრულება შეიძლება და მხოლოდ ამის აღსრულებას შეუძლიან კაცობრიობის გაბედნიერებაც. ამისთვისაც ამ აზრს ადგნან მრავალნი. —ახლა ითხოვენ, რომ რამდენათაც შეიძლება ხალხში ვრცლად მოიფინოს განათლება და ყოველის ღონისძიებით ცდილობენ, რომ სახალხო შკოლები გაამრავლონ. მკითხველი არ დაიფიწყებდა ნუჯერისის შტატის არხივისკოპოზის ღირსად-შესანიშნავს სიტყვას: „სახელმწიფო და აღზრდა“. ამ სტატიაში, რომელიც წარსულის წელს იყო დაბეჭდილი „ღრობაში“ მე 26 წ. ში, არხივისკოპოზი მშვენიერად ამტკიცებს სახალხო შკოლების მიუცილებელს საჭიროებას. მაგრამ ახა ერთი ვადეხედოთ რამდენი ასი სახალხო შკოლა გვაქვს? რამდენი სასწავლებელი მოიძიება ჩვენში? ის შკოლების სიცოცხვე გვიმტკიცებს, რომ ჩვენ განათლებაზედ სრულებით არასა ფიქრობთ და აქედამვე სჩანს, რამდენათ ფიქრობთ ჩვენს ბედნიერებაზედ! მაშ თუ ვერა, რა მოგველის ჩვენ მომავალში? მკითხველო, ამის პასუხს მე ვერ მოგცემ,

რათ ეხედავთ ზოგიერთს ხალხს, ზოგიერთს პირებს ასრე დაცემულს, რომ იმათ ყოველი ადამიანური დაუკარგავთ და სრულიად უგრძობდელინი გამხდარან? ამასა ჰქონია თავისი მიზეზები. ხალხი ან ყოფილა უნიკო, ან მცირე რა წინააღმდეგი ძალა მეტად ძლიერი

მართი კაცის ბუნების მოთხოვნილებათაგანი არის ბედნიერების ძებნა. შევლა კაცს ბედნიერება ჰსურს თავის თავისთვის და მუდამ იმას ელტვის, რომ კარგა იცხოვროს; მაგრამ რა რიგათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს ეს წადილი და თითონ ცხოვრება! მს მაკვირებს, რომ კაცს ბედნიერად ჰსურს ცხოვრება და თვით საქმით კი უბედურათა სცხოვრობს. მაშინ როდესაც კაცი ნეტარების წყაროს უნდა დასწაფებოდა, სიკაცობეში ის იტანჯება,

ისინი, მართალია, გატაცებულნი იყვნენ თავისი

ისინი, მართალია, გატაცებულნი იყვნენ თავისი





შენ თითონ განსაჯე. მაგრამ ვთხოვ მკითხველს ორიოდ სიტყვა კიდევ მოისმინოს. მე დამიფიქსა თანის დროზედ მეთქვა ეს აზრები, მაგრამ არა უწყობს. მიცი გულკეთილი მკითხველი აპატიებს ჩემს გამოუცდელობას. მე ვამტყიცებ სწავლის საქროვბას და მინდა, რომ ჩემს სიტყვებს შესაფერი სისრულე ჰქონდეს. რა არის სწავლა? სწავლა არის ბუნების კანონების ცოდნა, სწავლა არის გამოკვლევა იმისი, თუ რა მიზეზებიდან რა შედეგი წარმოსდგება, თუ რა კანონები ჰმართებენ სხვა და სხვა მოვლინებებს. მაშასადამე თუ კაცი ნამდვილათ ნასწავლი და განათლებულია, იმან იცის (რამდენათაც ესაა ამის ცოდნა შეიძლება) ბუნების კანონები; მაშასადამე იმასა აქვს ბუნების ცოდნა, და რადგანაც თითონაც ბუნების ნაწილს შეადგენს, იმას აქვს თავის თავის ცნობაც. აქედამ სჩანს, რომ კარგათა სცნობს თავის სიცოცხლის კანონებს, და თავის მოთხოვნილებებს—იმას უყვარს თავისუფლება, თავისი მამულიც (რადგანაც ეს თავის—დაცვას მიეწერება) და შეზღუდვის ყოველს კეთილს, რასაც კი შეზღუდვას, თავის გარეშეა. რათა? იმითომ, რომ იმან იცის, რომ სხვის ბედნიერება იმის საკუთარს ბედნიერებას შეადგენს, რომ თუ მრავალნი ბედნიერები იქნებიან, ისიც ამათში უბედნიერები იქნება და ამ სახით ამაღლდება იმ პათოსამდის, რომ ან ნიუტონობას, ან შექსპირობას და ან მკენობას დაიწყებს, ის მიახწევს იმ ნათელს და მალალ თავის-ცნობამდის, საიდგანაც დაინახავს პირველს მზას სხივებს, რომელიც მომავალში აღმოუბრწყინდება ახალს ქვეყნიერებას, სადაც გონებას, სიმართლეს და სიკეთეს დაუსუფუფებია...

ს ა ხ ა ზ ი ნ მ ზ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

(Закавказский Вѣстникъ № 45)

10) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით შუთაისის გუბერნიის სამმართველოში ამ წლის 21 სექტემბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის ფლიტელ—ალექსანდრე გვარდიის პოლკოვნიკს თ. ნესტორ ლიმიტრის ძეს წერეთელს. ეს მამული მდებარებს შუთაისის უბელში ს. მალაკას, მღვიმეთის, ბაშის, ჯიხაიშის და ბუბის და იმისთვის ისუილება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 8,000 მანეთის სარგებელი.

10) ზორის უბელის სამსჯავროში ამ წლის 18 სექტემბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნის ზორში მცხოვრებს სახელმწიფო გლეხს ლავთ ჯაკუბებს. ეს მამული შედგება 3 ალიზით აშენებულის ოთახისაგან და ეზოსაგან და მდებარებს ზორში. ის 240 მანეთით არის დაფასებული და ვალში ისუილება.

11) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 21 სექტემბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის გენერალ-მაიორს თ. მამუკა ომას ძეს ჯამაყურიან — მარბელიანს და მდებარებს ზორჩალოს უჩახტაში, ს. ბოლჩარის. ეს მამული იმისთვის ისუილება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 40,000 მანეთის სარგებელი.

12) თელავის უბელის სამსჯავროში ამ წლის 2 ოქტომბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ქვემოხსენებულს თელავის და სიღნაღის უბელების მფლობელებს ეკუთვნის. ეს მამულები იმისთვის ისუილებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) თ. შაიხოსო მანის ძემ ჩოლაყაშვილმა—2,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ოიანეთის ვაზარში, ს. მატანს; 2) თ. ბეგლარ და ნიკოლოზ ლავითის ძეთა მყაუშვილებმა—3,100 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული ს. იყალთოს; 3) თ. ტატო ივანეს ძემ მყაუშვილმა—2,600 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. იყალთოს; 4) თ. მიხეილ ლიმიტრის ძემ მყაუშვილმა—3,400 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. რუისპირის; 5) კენია სა-

ლომე ალექსანდრეს ასულმა აბხაზიშვილისა—15,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფლებში: მეჯინს, ბურჯანს, ზიარს და პოდოლს; 6) აზნაურებმა ლიმიტრი ლავითის ძემ და ლავთ ზაალის ძემ ბიჭიმყერლოშვილებმა—4,300 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული ს. აბაშენს; 7) მაიორმა თ. ლავთ შაფლანის ძემ მანა-მანაძემ—1,250 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. შალაბანს; 8) აზნაურებმა სულხან ბიორგის ძემ, რეგვ და ბრიგალ ლიმიტრის ძეთა სულხანიშვილებმა—4,500 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული ს. აჭურს.

13) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 2 ოქტომბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ ქვეითკირის შერობებისა, რომელიც ქვემოხსენებულს თელისის მცხოვრებლებს ეკუთვნის. ეს მამულები იმისთვის ისუილებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) ნიკიტა ისის ძემ შამურადოვმა—15,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი ორი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში; 2) ბიგო სერგეს ძემ მარაგოვმა—1,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 3 კვარტალში; 3) დეკანოზმა ივანე შაბრიელის ძემ ბახაზაშვილმა—8,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში; 4) იაკობ იგორას ძემ ალ-ჰამანოვმა—1,850 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში; 5) აზნაურის ალ-ხაზოვის ცოლმა შაქარაიას ასულმა—5,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში.

(Кавказъ № 45)

ზაკავკასიის სახაზინო პალატაში ამ წლის 10 ივლისს მოხდებოდა ტორგი და 14 პერეტორეკა, რომელთა ზედაც იჯარით გაიყვანა სახაზინო შენობებისა, რომელიც უჭირავთ თელისში სახაზინო პალატას, იმის არხის და თელისის უბელის სახაზინოს, და აგრეთვე აგება ზოგიერთის ახლის შენობისა.

(Закавказский Вѣстникъ № 47).

1.) სახელმწიფო ქონების დეპარტამენტში ამ წლის 25 ივლისს მოხდებოდა ტორგი, რომელიც იჯარით გაიყვანა 1 იანვრიდან 1868 წლისა საეკლესიო აბანო თელისში.

2.) აქვასიის სამხედრო ოკრუგის საინჟინერო სამმართველოში ამ წლის 30 ივლისს მოხდებოდა ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიყვანა ორი კაზარმის აშენება ხრამის წყალზედ 200 კაზარმისათვის შუბანის და მერგის პოლკებისა. მამოანგარიშებულია, რომ ეს კაზარმები 14,122 მან. და 40 კა. დაჯდება.

3.) ზაკავკასიის სახაზინო პალატაში ამ წლის 26 ივლისს მოხდებოდა ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიყვანა საყარალო სახლის აშენება ლარის ციხეში სამხედრო-საქარაუღოს გაზრდა.

5.) აქვასიის ლინენის № 34 ბატალიონის კანადირი მოუწოდებს პირს, რომელიც იჯარით აიღებს ხორცს ბატალიონისა და ლაზარეთისათვის. ტორგი ამ იჯარის გასაცემათ მოხდება ამ წლის 1 ივლისს სოხუმის ქალაქში. ეს იჯარა წელიწადში 15,000 მანეთამდის ავა.

9.) თელავის უბელის სამსჯავროში ამ წლის 21 სექტემბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის თავადებს ალექსანდრე და სვიმონ როსტომის ძეთა ჯორჯაძეებს და მდებარებს სოფელს საბუსს. ეს მამული იმისთვის ისუილება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის 4,000 მანეთის სარგებელი.

10.) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 9 ოქტომბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ ქვეითკირის შენობებისა, რომელიც ქვემოხსენებულს თელისის მცხოვრებლებს ეკუთვნის. ეს მამულები იმისათვის ისუილებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1., შორხ-მოსეს ძემ და ნასყიდა იოსების ძემ (აწ გარდაცვალებულმა) იხანდოვებმა 7,500 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მათი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში და 2., არტემ და მიხეილ მანაშაძის ძეთა ტერუნოვებმა—2,250 მან., რომლის გირაოთ არის მათი ოთხი დუქანი სარდაფით და ოთახებით 3 ნაწილის 1 კვარტალში.

11.) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 19 სექტემბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ სახლისა, რომელიც ეკუთვნის კოლესკი სოფენის ივანე ივანეს ძეს საფროსკის და მდებარებს 1 ნაწილის 1 კვარტალში. ეს სახლი იმისთვის ისუილება, რომ იმისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 6,000 მან. სარგებელი.

12.) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 24 აგვისტოს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ სამის სახლისა და დუქნებისა, რომელიც ეკუთვნის თელიისის მოქალაქეს ასატურ ნიკიტას ძეს ტურ—ასატუროვს და მდებარებენ 1 ნაწილში მერგის მიდებზედ. ეს მამული იმისთვის ისუილება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 45,000 მან. სარგებელი.

14.) თელავის უბელის სამსჯავროში ამ წლის 2 ოქტომბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის თავადს ზაქარია ომას ძეს ანდრონიკაშვილს და მდებარებს სიღნაღის უბელში სოფ. ლამბანოს. ეს მამული იმისთვის ისუილება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 7,000 მან. სარგებელი.

15.) თელავის უბელის სამსჯავროში ამ წლის 9 ოქტომბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ეკუთვნის ქვემოხსენებულს სიღნაღის უბელის მფლობელებს. ეს მამულები იმისთვის ისუილებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1., ო. იოსებ ბოჯასპირის ძემ ალათო-მანაძემ, რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფ. ბაქურციხის და 2.) ო. ალექსანდრე ქოსტანტინეს ძემ ჯანდირიშვილმა—2,300 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფ. ძოშის.

16.) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 25 სექტემბერს მოხდებოდა ტორგი გასასყიდათ ვენახისა, რომელიც ეკუთვნის თავადებს იოსებ და ზურაბ ბიორგის ძეთა ტუსიშვილებს და მდებარებს ლუშეთის უჩახტაში სოფ. ახატანს. ეს მამული იმისთვის ისუილება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 550 მან. სარგებელი.

17.) ზაკავკასიის (თელისის) დამოქანაში ამ წლის 27 ივნისს დილის 10 საათიდან და შემდეგ დღეებში მოხდებოდა აუქციონი გასასყიდათ სხვა და სხვა ნივთებისა, რომელიც მეკონტრაბანდებს დაატოვებინეს.

19.) ზუგდიდში შამალღესად დაწესებული კამისია, რომელმაც ცნობაში უნდა მოიყვანოს სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს თავადების და აზნაურების გვარები, მას გამოაცხადებს, რომ მეგრელებმა, სვანებმა და სამურზაყანელებმა, რომელიც სცხოვრებენ ზაკავკასიის მხარეში სხვა და სხვა ადგილას და რომელიც თავადის და აზნაურების შთამომავლობისანი არიან, უნდა გამოგზავნონ თხოვნა თავის სიმართლზედ ამ წლის 1 სექტემბრამდის. ამ ვადის შემდეგ შეტანილს თხოვნას კამისია უყურადღებოდ დასტოვებს.

ქ ა რ მ ო ზ ი თ ი ზ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

რ ა მ დ ე ნ ი მ ს ი ტ ჰ ა

ს ი ს კ რ ი ს მ ი თ ხ ე ლ ე ბ ა . (\*)

სხვა და სხვა შემთხვევის გამო, რომლისადაც მიზეზი მე სრულებით არა ვარ, აღარ მივიღებ მე „სისკრის“ რედაქციაში მონაწილეობასა.

რათვან საქმე აღარ მომეშვა და ვხედავდი „სისკრის“, რომ ისა სარგებლობდა ზოგიერთა ხელისმომწერლების გულ-კეთილობითა: ართმედა ფულსა და ფულის სამაგიეროთ სასარგებლოს არას აკითხავდა, მე ვიკისრე, საქირო კონტრაბტის შეკერით, „სისკრის“ რედაქცია თითო-ორჯოდა ახალგაზრდა ყმაწვილების თანამშრომლობის აღთქმითა. მარგათ შეუღლებით თუ ავთა ჩვენ ჩვენს მოვალეობას—ამის პასუხს გონიერი მკითხველი, რომელიც იცის აწმყო მდგომარეობა ლიტერატურაში

(\*) მსხობე „როგების“ რედაქციას, რომ ამ ჩემს განცხადებას არ დაუბრუნო მერიე ალაგი თავის გაზეთში, რადგან სხვა იმის გარდა სალიტერატურო ორგანი არა იმყოფება რა ქართულს ენაზედა.

ტურისა, იპოვის სამს ამ წლის... რედაქციის წიგნებში (იანვრის, თებერვლისა და მარტისაში). ჩვენ აქ გეკონდა მხედველობაში ჩვენი მკითხველები და რაც შეგვეძლო შეუღლებით იმათი რიგიანი საკითხავის ზრუნვასა. მაგრამ... ჩვენ დაგვყენა ერთმა უფ. ტერესელიძის მოულოდნელმა მოქმედებამ იმ მდგომარეობაში, რომ ჩვენს „სისკრის“ რედაქციაში მონაწილეობას ხიფათის მეტი სხვა კეთილი არა მოსდევდა რა, და ეს იყო მიზეზი, რომ მე მოვსპე იქ თანამშრომლობა.

ახლა უფ. ტერესელიძე აცხადებს აპრილის წიგნში, რომელიც გამოვიდა რეას იენისს, (ტერესელიძემ ამაშია კი იტყუა წინაშე ხელმომწერლებისა: სწერს, რომ ეს აქცია რეას მისს გამოვიდა) თავისი სიტყვებით, რომ მე აღარა ვარ „სისკრის“ რედაქციაში მონაწილე, და ჩემი განცხადება ამს შესახებ, რომელიც იყო „როგებაში“ დაბეჭდილი, არ უნებებია გარდასაბეჭდათ.

ტერესელიძე ამ თავის განცხადებაში, თითქო შექცევის თავის მკითხველებს ამით, რომ აპრილის წიგნში შურცელაძეს მონაწილეობა არ მიუღია „სისკარში“, და დახე რა წიგნი გამოვიცო! „ორი ვერონელი აზნაურისა“ კი უნდა მოვხსენო, რომ ის ჩემის თხოვნით იყო მოცემული „სისკარში“ დასაბეჭდათა და მეცეე მივეცი ისა წინასიტყვაობით (რომელიც ტერესელიძემ აქცია ბოლოსიტყვაობათა) და რაც შეეხება სხვა სტატიებს, რომელიც, როგორც ეტყობა ტერესელიძეს, სატრაბახოთა აქვს, ისინი ჩემს ხელში სიზმრათაც ვერა ნახავდენ ბეჭდვასა, მეტადრე ბიბლიოგრაფიული სტატია ნიკოლ. ავალიშვილის კალენდარის შესახებ, რომელიც ეს ყოველად უგვანი კალენდარი თქვენს ჟურნალში ვილასაც ისე უქია, რომ ცამდინ აუყვანია, ასე რომ მეგროპაშიაც უყვეთეს კალენდრებს ველარა ჰპოვის.

თუ უფალო ტერესელიძე თქვენ არაფერი გაგიგიათ ქვეყნიერებაზედ რა ცელილება ჰხდება და არა კითხურობთ არაფერსა, რომ ეს მაინც არის გაგეგოთ, რომ პრუსია ეხლა ცხრამეტი მილიონი აღარ არის, როგორც უწერია ავალიშვილს კალენდარში—გაიზარდა ამ ერთს წელიწადში, შემდეგ იმ გასაოცებელის გამარჯვებებისა, რომელიც იმან მოახდინა აესტრიაზედ, და რომელიც თქვენ, როგორცა ჩანს ჯერ კორათაც არ ვისგან გაგიგონათ.—კალენდარში მაინც ჩიხხიდავდი სადმე, თუ რიგიანი გეოგრაფიული სახელმძღვანელო წიგნი არსად მოგეგობოდათ და ნახედით, რომ შრანცია საკაროლო თითქმის ოცი წელიწადია რაც აღარ არის და დღეს შრანცია არის იმპერია. სხვა სათაკილო ნაკლებულებათა შორის, რომლითაც სავსეა ავალიშვილის კალენდარი, რომელიც თქვენებრივ სწავლული მართალია ვერ შენიშნავს, ეს მაინც როგორ ვერ შენიშნავთ ისე უწყალოთ ნაქებს კალენდარში?

აბა ვერა ჩემო ტერესელიძე! მუდამ კოკა წყალს ვერა ზიდავს... მუდამ თქვენი ფლორით როგორ გინდა ფონს გახვიდე! თქვენა კეხულობთ იმითი, რაც სხვას სათაკილოთა და სამახარაოთ აქვთ; თქვენ არ იცით ისა, რაც იცის ეხლა ათი თერთმეტის წლის ბავშვმა და ჟურნალის გამომცემობას კი კისრულვით და ხალხს კი ასწავლით ინსინუაციებსა და სხვა ამგვარი ხელობის დაქვრასა, როგორ გგონია, უფალო ტერესელიძე არა სჯობდა, რომ პატარა გესწავლათ რამ, რომ შენც ცოტა წუთი სოფლის სიკეთე გაგეგო და სხვებისთვისაც სინდისის ქონება მაინც გესწავლებინა.

ანტონ შურცელაძე.